საქმე № 330217715001102977
საქმე №2ბ/5234-15

1207355696230

თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე

18 თებერვალი, 2016 წელი **თბილისი**

სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:

ლილი ტყემალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები: ხათუნა არევაძე
ვანო წიკლაური

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორი – შპს მისო ,,კ. ს. კ.''

მოწინააღმდეგე მხარეები – მ. მ., ნ. მ., გ. ხ.

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

საჩივრის ავტორების მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე მითითება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინებით მ. მ.-ს, ნ. მ.-სა და გ. ხ.-ს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით შეჩერდა: 2.1. ნოტარიუს ბ. შ.-ს მიერ 2015 წლის 06 აგვისტოს გაცემული #15084XXXX სააღსრულებო ფურცლის აღსრულება; ნოტარიუს ბ. შ.-ს მიერ 2015

წლის 06 აგვისტოს გაცემული #15084XXXX სააღსრულებო ფურცლის აღსრულება; ნოტარიუს ბ. შ.-ს მიერ 2015 წლის 06 აგვისტოს გაცემული #15084XXXX სააღსრულებო ფურცლის აღსრულება.

განჩინება ეფუძნება შემდეგს:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, განმცხადებელს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე, დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია განმცხადებელს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს თუ რომელი უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლენა იყოს გამოყენებული, ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, გარდა ამავე მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისთვის.

სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის საპროცესო ინსტიტუტის მიზანია სარჩელის დაცვა, რომელიც აღძრულია ამ კონკრეტული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და მოსარჩელის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიების ისეთ სახეს, რომლის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება და მისი აღსრულების ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით იგი მოპასუხის უფლებისა თუ ინტერესის შევიწროებას გულისხმობს, თუმცა იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც მოპასუხის უფლებების უპირობოდ შემზღუდველი ღონისძიება. ამიტომ, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს, გამოიყენოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შესაძლოა ერთი მხარის მდგომარეობა გაუმჯობესდეს, მეორისა კი პირიქით. ამასთან, სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ზომა უნდა იყოს ადეკვატური დავის საგანზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შედეგის მიმართ გააჩნია დაცვის ღირსი ინტერესი. მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნაა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმება. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება. ის წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიას და ემსახურება ამ უკანასკნელთა დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას.

,,ნოტარიატის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება არ აჩერებს აღსრულებას. მართალია ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესი ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრებას და ასეთ შემთხვევაში სარჩელის წარდგენა ავტომატურად არ აჩერებს აღსრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნათა ფარგლებში და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის მიხედვით შეაჩეროს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის სხვაგვარი განმარტება საფრთხის ქვეშ დააყენებს მოსარჩელის უფლებებს, რომელიც მიუხედავად მართლმსაჯულების განხორციელებისა, ვერ ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა შესახებ კონვენციით გარანტირებულ ფუნდამენტალურ უფლებას საქმის სამართლიან სასამართლოზე მოსმენის თაობაზე.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

ასევე, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

08.10.2015წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს საჩივრით მიმართა შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ,,კ. ს. კ.-ს" წარმომადგენელმა ვ. ქ.-მ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინების სრულად გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ,,კ. ს. კ.-ს" საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქლაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინებაზე დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ საჩივარს, შეისწავლა საქმის მასალები, მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1]-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესით. 420-ე მუხლი ადგენს, რომ კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის, საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების საჩივრის ფარგლებში შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ საჩივრის პრეტენზია დაუსაბუთებელია, ვინაიდან სახეზე არაა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო სამართლებრივ გარანტიას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდესის 191-ე მუხლის დანაწესით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ან გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. უზრუნველყოფის ღონისძიებაზე მსჯელობისას, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლებმა სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოითხოვეს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეჩერება. სარჩელის დავის საგნად კი მითითებულია ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცლების ბათილად ცნობა. სააპლაციო პალატა სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივ დასკვნებს და განმარტავს, რომ ,,ნოტარიატის შესახებ'' საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-6 პუნქტის დანაწესი ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრებას, შესაბამისად სადავოობისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის ფარგლებში შესაძლებელია უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოხდეს გასაჩივრებული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეჩერება. აღნიშნულით რეალიზებული იქნება მხარის სასამართლოსათვის მიმართვის საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლითა და საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული უფლება.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას მასზედ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში შესაძლებელია სამომავლოდ გართულდეს მ. მ.-ს, ნ. მ.-ს და გ. ხ.-ს სარჩელზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, რის გამოც მართებულია, რომ შეჩერდა ნოტარიუს ბ. შ.-ს მიერ 2015 წლის 06 აგვისტოს გაცემული #15084XXXX სააღსრულებო ფურცლის აღსრულება; ნოტარიუს ბ. შ.-ს მიერ 2015 წლის 06 აგვისტოს გაცემული #15084XXXX სააღსრულებო ფურცლის აღსრულება; ნოტარიუს ბ. შ.-ს მიერ 2015 წლის 06 აგვისტოს გაცემული #15084XXXX სააღსრულებო ფურცლის აღსრულება.

ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით პალატა ასკვნის, რომ გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებულია, კანონიერი და საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ მისი გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის (საჩივრის) თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1]-ე, 372-ე, 390-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ,,კ. ს. კ.-ს" საჩივარი არ დაკმაყოფილდს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;

3. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე: **ლილი ტყემალაძე**

მოსამართლეები: **ხათუნა არევაძე**

ვანო წიკლაური